დადგენილება:**დ-37. 3726210001**
თარიღი:**29/07/2026**

დადგენილება N23

2026 წლის 29 ივლისი

ქ. ოზურგეთი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 209^3 მუხლის, 239-ე მუხლის, 240-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/06/2022; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.113.016470) და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის ადგილზევე ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექციის" თანამშრომლები – „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 55^6, 64^2, 77^1, 77^2,103-ე, 119^1

მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^{4}მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^{1}-ე, 135-ე, 135^{1}, 146^{1}, 148-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{2}, 152^{4}, 152^{5}, 152^{6}, 152^{7} და 156^{1} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი